შ.პ.ს. ,,კოდორი" LTD "KODORI"

ქ. თბილისი
№ 51/1121

01 ნოემბერი 2021 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს ,,კოდორი" გეგმავს ქ. თბილისში, სოფ. წავკისის ტერიტორიაზე არსებული 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „ორბეთი 1"-ს (ს/კ 81.00.948) რეკონსტრუქციას. ტერიტორია, სადაც განთავსებულია ელექტროგადამცემი ხაზი „ორბეთი-1"- ს N6 და N9 საყრდენებს შორის უბანი, წარმოადგენს სს „თელასის" საკუთრებას და ამასთან, კვეთს მოქ. მანანა მირიანაშვილის კერძო საკუთრებას. აღნიშნული ფაქტი ხელს უშლის მოცემულ მიწის ნაკვეთებზე ინფრასტრუქტურის/უძრავი ქონების განთავსებას, შესაბამისად, სს „თელასთან"და მოქ. მანანა მირიანაშვილთან არსებული შეთანხმების საფუძველზე, შპს „კოდორი" პროექტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შეასრულებს საჰაერო გადამცემი ხაზის მონაკვეთის მიწისქვეშა საკაბელო ხაზით ჩანაცვლების სამუშაოებს, ორი საყდენის დემონტაჟსა და ორი საყრდენის მონტაჟს.

ვინაიდან, კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტს თან ახლავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის ეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 20 ოქტომბრის N10964/01 წერილით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად და მინდობილობა.

პატივისცემით
შპს „კოდორი"-ს დირექტორი გ.კვარაცხელია

ქ.თბილისი 2019წ.

№ 19516
01 11 2021
1 ფ.
03